სამშობლო

ხუთშაბათი
4 თებერვალი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 277 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 277

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო"-ზე

ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.

გაზეთი გამოვა

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ცინცაძე.**

ქვრივი მ. ნადორა გიორგის ასული იოსელიანისა, შვილები: ცაკა და ქორიკა, და მარიამ გიორგის ასული იოსელიანისა შვილებით, რძალი ევლახი იოსელიანისა შვილებით, სიდედრი თეკლე მოსეს ასული ნიჟარაძისა, ცოლის ძმები: ივანე ბარნაბა, სერაფიონი, სპირიდონი და სიმონი გიორგის ძენი ნიჟარაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობებს აზნ.

გერასიმე გიორგის ძის იოსელიანის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვაც დანიშნულია ხუთშაბათს, 4 თებერვალს, ნაშუადღევის სამ საათზე. გამოსვენება მიცვალებულისა ლორთქიფანიძის სახლიდან მესხეთის ქუჩის შესახვევში.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. 1—1

ელისაბედ ჩერქეზიშვილის იუბილე.

წარმოდგენა № 51

ქალაქი ქუთაისი. **„ქართული დრამა"** ქალაქის თეატრი.

კვირას, 7 თებერვალს გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა.

1
ორი ობოლი
მეხუთე მოქმედება.

2
დედის ერთა
ვოდ. ერთ მოქ. ვ. გუნიასი.

3
რაც გინახავს ველარ ნახავ.
პირველი მოქ. ა. ცაგარლისა.

4
მისალმება.

ადგილების ფასი საბენეფისოა.

დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი **შ. დადიანი.**

ადმინისტრაცია „ქართ. დრამ." ამხ.-სა.

ანონსი: მზადდება: ბუქანიშვილის, კავთელის. ლოლობერიძის, ჩავუნავას ჩოიკვაძის ხონელის, მოკარნახე ი. ქილენტის და ადმინისტრატორ ზ. ურუშაძის საბენეფისოდ **„პარიზის ღარიბ-ლატაკნი"**

საზოგადოების საყურადღებოთ.

ლ თებერვლიდან **მთავრობის განკარგულებით** სათეატრო ბილეთებზე შემოღებულ იქნება ახალი **სამხედრო ბეგარა** შემდეგის წესით:

შ—დან 10 შ. ღირებულ ბილეთს გადასახადი ექნება 2 შ., 10 შ—დან მანეთამდე აბაზი, მანეთიდან მანეთ-ნახევრამდე ექვსი შაური, მანეთ-ნახევრიდან ორ მანეთამდე ორი აბაზი, ორი მანეთიდან სამ მანეთამდე სამი აბაზი, სამი მანეთიდან ოთხ მანეთამდე ოთხი აბაზი, ოთხ მანეთიდან ხუთ მანეთამდე ერთი მანეთი, ხუთი მანეთიდან რვა მანეთამდე რვა აბაზი, რვა მანეთიდან ათ მანეთამდე ორი მანეთი და სხვ.

ის გამო **„ქართული დრამის"** ამხანაგობა **იძულებულია** მისი წარმოდგენების

ფასსაც მოუმატოს.

ცისფერი ყანწები"

ალმანახი გამოვა 7 თებერვალს.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

სამშაბათს 2, ოთხშაბათს, 3 და ხუთშაბათს 4 თებერვალს ნაჩვენები იქნება

დიდებული სურათი

ხმა ცხოვრებისა.

რუს. მხატვრ. დრამა 5 ნაწილათ. უმთავრეს როლს თამაშობს გამოჩენილი მსახ. ქალი ნ. ვ. პლევიცკისა.

გენერალი ჟოფრი ფრონტზე. სამხედრო ქრონიკა.

ანონსი: პარასკევიდან, 5 თებერვლიდან 1916 წ. ნაჩვენები იქნება.

ქურდების ხელში. დრამა ხუთ ნაწილად, გადაღებულია სიმბეთის მთებში. ჰუ-ეინ-პეკის როლს შეასრულებს გამოჩენილი მსახიობი ლ. ფ. ზანგენი. ბალეტი ამირაგოს ტრუპისა.

ელექტრო „ამპირი" თეატრი

სამშაბათს 2, ოთხშაბათს, 3 და ხუთშაბათს 4 თებერვალს ნაჩვენები იქნება

მარო კრამსკაია

ქურუმი თავისუფალი სიყვარულისა. დრამა ექვს ნაწილად. უმთავრეს როლში იქნება მოსკოვის მხატვრ. თეატრის მსახიობი **ო. ვ. გზოვსკისა.** ქართულ ცეკვას შეასრულებს გამოჩენილი მოცეკვავე ნ. ჩერნობაევისა.

ანონსი: პარასკევიდან, 5 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება

ადამიანის ხუნდები, დრამა ოთხ ნაწილად, საიმპ. თეატრის მსახ. ვ. კ. მაქსიმოვის მონაწილეობით.

განცხადება.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თანახმად 1915 წლის 22 ნოემბრის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა 1 თებერვლიდან 1916 წლ., ომის დასრულებამდი შემოღებულია ბაჟი თეატრებსა კინემატოგრაფებსა და ყველა გასართობ სალამოზე შესასვლელ ბილეთებზე შემდეგის სახით:

ორი შაურიდან ათ შაურამდე ღირებულ ბილეთებზე—2 შაური; ათი შაურ.—1 მან.—1 აბაზი,

შემოსული ბაჟის $2/3$ გადაიდება ხაზინის სასარგებლოთ, ხოლო $1/3$ დედოფალ მარიამის უწყებაში მყოფ დაწესებულებათა სასარგებლოთ. ამიტომ ამ ბაჟების მიხედვით, 1 თებერვლიდან 1916 წლის ელექტრო-თეატრ „რადიუმსა" და „ამპირში" შესასვლელ ბილეთებზე დაწესებული იქნება შემდეგი ფასი: ლოჟა 17 შაური; 1 ადგილი 15 შაური; 2 ადგილი 10 შაური; მესამე ადგილი 6 შაური; მოწაფეებისათვის მეორე ადგილი 6 შაური; ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 1 აბაზი.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელოვის შ-ბის
ქუთაისში

ამით ვაცნობებთ პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ ახლო მომავალში მივიღებთ ცნობილ

აბრეშუმის თესლს
ხ. ხრისტოდულიდისას.

6—2

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოება

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, ხაჯუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლორთქიფანიძე.**

კბილის ექიმი რ. პ. ხვანაძის ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ მარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გუწერლის ქუჩა, ლორთქიფანიძისსახლი. თ

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ლიმულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი **ი. ჩარიძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლეჟავშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ-

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს.

გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ბალახანოვის ქ. საკუთარი **სახლი.** თ.

ექიმი **ა. მ. ახათიანი.** განახლა ავათმყოფების მიღება (ქალთურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა დ. ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი **ნ. დ. ნახარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან

პეტროგრადი. ოლაისა და კუნძულ დალენის შუა გაცხარებული სროლა გრძელდება. დვინსკთან ჩვენი არტილერია მარჯვეთ მოქმედებს. დვინსკთან მტერმა სულის შემხუთავი გაზიანი ყუმბარები იხმარა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მდ. დვინის მხარეზე გაყოლებული თხრილებიდან რუსები ნაღმებს ისვრიდენ. იმავე რაიონში რუსებმა ააფეთქეს ნაღმი და მთელი ადგილიც დაიჭირეს. მთელი დღე ამ ერთი ადგილისთვის ცხარე შეტაკება ხდებოდა, საბოლოოდ ბრძოლა რუსთა სასარგებლოდ დამთავრდა. მკვირცხლი სროლის შემდეგ რუსებმა აიღეს სოფ. გორბუნოვკა. სვენტენის ტბის მახლობლად გაცხარებული ბრძოლაა, უმთავრესად ყუმბარის მტყორცნელებით. ჩემერინთან გერმანელები დროგამოშვებით ქარიშხალისებური სროლით არ უსვენებდენ რუსებს. [illegible] რაიონში [illegible] რუსების

გარეკვას იმ მაღლობიდან, რომელიც წინა დღით ბილეს მათ. დიდი მსხვერპლის შემდეგ ავსტრიელებმა დაიბრუნეს მაღლობი, მაგრამ საბოლოოდ რუსთა სახელოვანი პოლკი ეკვეთა ხელახლად და მაღლობი შეინარჩუნა კიდეც. აქედან წამოყვანილი ტყვეები ერთხმად მოწმობენ, რომ რუსთა არტილერიას დიდი ზიანი მიუყენებია მათთვის. საღამოთი, 29 იანვარს და ღამით 30 იანვარს მტერი ხელახლად შეეცადა ტეზეროვის რაიონში დაებრუნებინა დაკარგული მაღლობი, საჯერ ზედიზედ ეკვეთა მძაფრი კონტრიერიშით, მაგრამ ყოველთვის დიდ-დიდი ზარალით უკუქცეული იქმნა.

კავკასიის ასპარეზი. რუსები წინსვლას განაგრძობენ.

ჩვენმა არტილერიამ არზრუმის ციხესიმაგრის ერთი ერთი ფორტი ააფეთქა, რის შემდეგაც ფორტი ჩვენ დავიკავეთ. ოსმალეთის დევნის დროს ბევრი დავატყვევეთ და დიდძალი დავლა ვიხელთეთ.

არზრუმის რაიონში, საარტილერიო სროლის შემდეგ ჩვენ შეტევით ავიღეთ ერთი ფორტი ციხისა. ვიხელთეთ 20 მეტი ზარბაზანი, ტყვეები და სურსათი. წინად აღებულ ფორტებს გარდა, რომელიც ფარავს არზრუმის ციხეს და პოზიციებს. ორი თებერვალს საღამოთი ჩვენი ძლევამოსილი ჯარის გმირული შეტევის წყალობით დავიკავეთ კიდევ 7 ფორტი. ამგვარათ ჩვენს ხელშია შემდეგი ფორტები: კარაგიუბეკი, ტაფტა, ჩობანდელე, დალანგეზი, უზუნ—ახმედკა, რაკოლზა, იიკმედი, პირველი ნომერი კაბურგისა, ორტუკისა და ორტაიუილლივასი.

დასავლეთის ასპარეზი.

რიგის რაიონში გერმანელთა მფრინავები გამოჩნდენ. მთელს რაიონში გაცხარებული სროლაა დვინსკის რაიონში გაცხარებული ბრძოლაა ილუქსტთან მდებარე ბეგობისთვის, რომელიც ჩვენ დავიკავეთ. მედუმისა და დემენტის ტბებს შუა ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს ბოქორიზა, რუგენიშის სამხრეთ-დასავლეთით. პრიპეტის სამხრეთით, ეზერცის რაიონში, დონის კაზაკებმა მიიტყუეს ავსტრიელების სადარაჯო რაზმი და ამოჟლიტეს.

სტრიპის ზემო მიმდინარეობასთან ჩვენი მზვერავთა მრავალრიცხოვანი რაზმი მტერს მოსვენებას არ აძლევს. ჩვენი მზვერავების მოქმედებამ მტრის მხრით ცეცხლი გამოიწვია, რომელიც მთელი დღის განმავლობაში შეუჩერებლივ სწარმოებდა. შუა სტრიპაზე ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა მტრის 4 ჰაეროპლანს. ერთი დაზიანდა და ჩამოვარდა მტრის ბანაკის გასწვრივ.

ლონდონი. 29 იანვარი. მესოპოტამიიდან ცნობები მოვიდა: 25 იანვარს ინგლისელთა მზვერავები ნასირიედან ბრუნდებოდენ, წინ შემოეყარნენ არაბები. ბრძოლა გაჩაღდა. ინგლისელებს დააკლდათ 373 კაცი, ხოლო მტერმა დაჰკარგა 300 კაცამდე. 27 იანვარს მაშველი ჯარი გაიგზავნა, რომელმაც არაბთა 4 სოფელი დაანგრია. ინგლისელებს 6 კაცი დაეკარგათ.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

ბალკანეთის ფრონტი.

მაკენზენის სალონიკის ფრონტზე მისვლით სამხედრო ოპერაციების განახლებას მოელიან.

ათინაში მყოფი იტალიის საელჩო ოფიციალურად უარყოფს ცნობას იმის შესახებ, ვითომც ავსტრიელებს გაემარჯვებიოსთ ალბანეთში სერბიელებთან შეტაკების დროს. პირიქით დურაცოს ჩრდილოეთით შეტაკების დროს ავსტრიელებმა დიდი ზარალი ნახეს და იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ.

„ინდეპენდანს რუმენის“ ცნობით ალბანეთის ფრონტზე ავსტრიისა და იტალიის ჯარი ძლიერ დაახლოებულან, ასე რომ ამ დღეებში დიდ შეტაკებას მოელიან. უკანასკნელი ცნობებით, კრევეშის ჯარს კრუჭი დაუკავებია დურაცოდან 25 კილომეტრის მანძილზე. უგზოობა ჯარის მოძრაობას დიდათ აფერხებს. მოწინავე რაზმებს შორის მცირე შეტაკებები ხდება. ალბანელების ბრბო ავსტრიელებს შეუერთდენ და ყოველ სერბიელს, ვინც კი შეხვდებათ, იარაღს ყრის.

გერმანელების ცნობით, ბულგარეთმა პროტესტი განაცხადა რუმინელ ავიატორების წინააღმდეგ, რომელნიც ბულგარეთის ტერიტორიაზე დაფრინავენ. ბულგარლებმა ავიატორებს უშედეგოთ დაუშინეს. ბულგარეთის მოქმედებას ბუქარესტში სამართლიანათ სცნობენ, ავიატორების წინააღმდეგ ზომებია მიღებული.

ბერლინ-კონსტანტინოპოლსა და ნიშ-კიროტს შუა მიმავალ ბალკანეთის მატარებელზე თავდასხმა კვლავ განმეორდა. ბევრი ადგილობრივ მცხოვრებთაგანი დააპატიმრეს ამის გამო.

ქართული პრესა.

„სახალხო ფურცელი“ სწერს.

„ყოველს ადამიანს, ყოველს ერს თავის მეგობრად და მოყვარედ ის მიაჩნია, ვინც პატივსა სცემს მის პიროვნებას, არ შელახავს მის ღირსებას, დაეხმარება მის დაწინაურებას, კეთილდღეობას. ეს უბრალო საანბანო ჭეშმარიტებაა, დღესავით ნათელი, შეურყეველი საფუძველია ყოველგვარი ურთიერთობის და თანხმობისა, მაგრამ სამწუხაროდ ამას არ ხედავენ ხშირად, ძლიერ ხშირად ის მაღალი პოლიტიკოსები, რომელნიც ლამობენ ერთა და სახელმწიფოთა ბედის გადაწყვეტას! თანაგრძნობას და სიყვარულს მხოლოდ ის დაიმსახურებს, ვინც ამის ღირსია. ერთა ურთიერთობა და განწყობილება ვერც ძალმომრეობას და ვერც რაინდობას ვერ დაემყარება. აქ ანგარიშია—ერთმანეთის ღირსება და სარგებლობა. ერთა ურთიერთობა პოლიტიკაა, პოლიტიკა კი ყოველთვის ყოვლის უწინარეს ინტერესების დაცვაა: ერისთვის სასურველია და საყვარელი ის მეზობელი ერი, რომელიც მის უფლებას აღიარებს და ანგარიშს უწევს, ხოლო საძულველია ის ერი, რომელიც ძალით თუ მოტყუილებით მის დაზიანებას, დაუძლურებას, დაღუპვას სცდილობს...

როგორც მკითხველი ხედავს. სოციალისტ-ფედერალისტთა აზროვნებაში დიდი ცვლილება ხდება, დღემდი ისინი ყველა ერს ფედერატიულათ აკავშირებდენ, რისთვისაც საკმარისათ მიაჩნდათ ქართველ ფედერალისტების სურვილი. დღეს კი, როგორც ვხედავთ, ისინიც მიმხვდარან, რომ შეთანხმება და შეკავშირება მოსახერხებელია მხოლოდ ისეთ ერთა შორის რომელთაც ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები არ აქვთ და ურთიერთ განწყობილებაში ერთმანეთის პატივისცემით და უფლებების აღსარებით ხელმძღვანელობენ. ისეთი ერების შეთანხმებას, რომელთაც საერთო ინტერესი აქვთ—აბა ვინ უარყოფს. თუ ვინმე შეგვითანხმებს და შეგვიერთებს ისე, რომ ჩაყლაპვას არ მოგვიერთებს, ამის წინააღმდეგი ვინ იქნება. ის სჯობია ქვეყნის ფედერატიულათ მოწყობისთვის შრომას თავი დავანებოთ და ჩვენი ეროვნული ცხოვრება გავაძლიეროთ ეკონომიურათ და სულიერათ, ჩვენი მეზობლებიც ანგარიშს გაუწევენ ჩვენს მისწრაფებებს და მაშინ კიდევაც სიამოვნებით გვიძმობენ, თორემ სუსტს და უძლურს თუ შეიკავშირებენ, მხოლოდ იმიტომ რომ ის მთლათ გაანადგურონ.

ამისთვის საჭიროა ჩვენმა სოციალისტ-ფედერალისტებმა სოციალისტ-ფედერალისტობასაც თავი დაანებონ და შეუდგენ ჩვენი ქვეყნის რეალურ საჭიროებათა სამსახურს, თორემ ოცნებით ყველა ერის შეერთება და საერთო ბედნიერების დამყარება ჩვენი ცხოვრების მწარე სინამდვილეს ვერ გარდაქმნის.

* * *

„მეგობარში“ ბ. იმ-ამი განაგრძობს თავის წერილებს „საერთო მოქმედების მიუცილებლობაზე“ ის ითვალისწინებს იმ მონური ფსიხოლოგიის მიზეზებს, რომელიც გამეფდა ჩვენში.

„ასი წლის მონობამ, ჩვენმა ისტორიის უბედურმა, შავდღიანმა მსვლელობამ გადაგვაჩვია სალ-თვითმოქმედებას, გონიერ პოლიტიკურ მსჯელობას და მონური ფსიქოლოგია განავითარა ჩვენში. ეს ფსიქოლოგია ყველას ერგო ბედათ. არ არის ჩვენში პოლიტიკური პარტია, რომ იმით მოწამლული არ იყოს. ჩვენი დასელებისაგან დაწყებული ჩვენ მემარჯვენე ელემენტებამდი არ არის ჯგუფი—სერვილიზმით არ იყოს დაავადმყოფებული. რასაკვირველია,“ მე მასზე მოგახსენებთ, თორემ რამდენიმე მეთაური, ცხადია ცოტად თუ ბევრად განთავისუფლებულია ამ ჭირისაგან და საღად მსჯელობს.

ჩვენი დასელები სულ იმის მოლოდინში არიან, რომ, როცა რუსეთის მდგომარეობა შეიცვლება, მაშინ თავისთავად შეიცვლება ჩვენი მდგომარეობაო. აგრეწოდებულ ფედერალისტებს რუსის პროგრესიულ დემოკრატიული ნაწილის იმედი აქვთ მათი იდეალის განხორციელების საქმეში; ჩვენი მემარჯვენე ელემენტები თუ კი „რომლაც უმაღლესი სიმართლისაგან“ მოელიან სულის ცხონებასა და ქვეყნის დახსნას და ეს „უმაღლესი სიმართლე“ ხან ბიუროკრატიის რომელიმე უმაღლეს საფეხურზე მდგარის სახეში გამოიხატება, ხან კიდევ „პეტრეს ქალაქის“ სასოებაში. ხოლო პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული, უთუოდ სიზმარეთიდან მოელიან მერანით მეფისწულს. ვით ზანგადასული სასძლონი, ე. ი. წინდაწყლის ავანტიურიზმში არიან გახვეულნი. სამართლიანობა გვავალებს ვსთქვათ, რომ მემარცხენე ელემენტები უფრო მეტს ანგარიშს უწევენ სინამდვილეს, ისტორიულ პირობებს აგრეწოდებულ „არსებულ რეალურ ძალთა განწყობილებას“.

თვით სიმართლე ღაღადებს იმ-ამის ენით. შემცდარი არიან დასელები, რომლებიც იმის მოლოდინში არიან, რომ რუსეთის ცხოვრების გაუმჯობესებით და ჩვენი სინამდვილეც გარდაიქმნება.

„აგრეთ წოდებული ფედერალისტების მოლაპარაკება ხომ მთლად [illegible] სერვილიზმით და ავანტიურიზმით გაჟღენთილი. მათ [illegible] ტიული ნაწილის [illegible] მოკრატიას თვითონ რომ არა აბადია რა, ფედერალისტებს რას მისცემს. რუსეთის დემოკრატიის გარდა ჩვენი ფედერალისტები დიდ იმედებს ამყარებენ სომხის დემოკრატიაზედაც. ჩვენ მათ მოვიმადლიერებთ, ამისათვის კი მათ ჩვენი სამშობლოს იმ ნაწილებს მივცემთ, რომელსაც მათ თვალი უჭირავთ და ამის შემდეგ ჩვენი ქვეყნის საქმე წელში დაბრუნდებაო.

შემცდარ ნიადაგზე არიან ისინიც, ვინც ბიუროკრატიაზე დიდ იმედებს ამყარებენ. ასეთები ჩვენში უთუოდ მოიპოვებიან.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ბ. იმ-ამს, რომ ეს მემარჯვენე ელემენტები უფრო შემცდარი იყვნენ, ვიდრე დასელები და აგრეთ წოდებული ფედერალისტები. კაცი სხვისგან მოელის ხსნას, ის უფრო გონიერია ვინც იმაზე ამყარებს იმედებს, ვისაც ამის ძალა შესწევს, თორემ ვინც უძლურია პოლიტიკურათ, როგორც რუსეთია, და თუ გინდ სომხის დემოკრატია ის სხვას ვერ გააძლიერებს და გააბედნიერებს.

„ყვავს არ ქონდა, ბუს გაქონდაო“ ხომ გაგიგონიათ ბ. იმ-ამ!

აი და ამ რიგათ ყველა ის მიმართულება, ვინც სხვის დემოკრატიაზე და ბიუროკრატიაზე ამყარებს იმედებს, თუ იმ-ამის სიტყვით, ავანტიურისტები არიან.

აქედან ჩვენ დავსკვნით რომ გონიერ პოლიტიკას აწარმოებს ის მიმართულება, რომელიც ემსახურება ერის ქონებრივ და გონებრივ გაძლიერებას. რომელიც თავის ერის ძალის ფანტასტიურ—მრავალგვარ სოციალისტურ და ფედერალისტურ ოცნების კოშკების აგებაზე კი არ ხარჯავს, რამედ ჩვენი ქვეყნის ვითარების რეალურ გაუმჯობესებისათვის იღწვის.

ასეთი მიმართულება არა თუ სამშობლოს, არამედ სამშობლო მიწის ერთ მტკაველსაც არ დაუთმობს სომხებს. იმის[illegible] რომ ჰორიზონის ქვეშ-ხოტბა დაი[illegible]როს.

პოლიტიკური ორჭოფობა.

ორჭოფობისთანა უზნეური და [illegible] არა არის-რა, როგორც კერძო ცხოვრებაში, აგრეთვე პოლიტიკაში.

და სწორედ ეს საშინელი სენი შემოიტანა ბ. „იმ. ამ“-მა ჩვენს პუბლიცისტურსა და პოლიტიკურ ლიტერატ

სახალხო შკოლა და საგლეხო უნივერსიტეტი შვეციაში.

(გაგრძელება იხ. № 276.)

პირველად სახალხო განათლების საქმე შვეცია-ნორვეგიაში პირდაპირ სასულიერო წოდების ხელში იმყოფებოდა. ამ შკოლების უახლოესი ხელმძღვანელნი სულიერი მამები იყვნენ. ეკლესიას ამ დროს ძალიან დიდი გავლენა ქონდა ხალხზე და ეს უკანასკნელი მოწიწებით ეპყრობოდა მის წარმომადგენლებს. სასულიერო წოდებამაც ამით ისარგებლა და ერი საუკუნის განმავლობაში შკოლების უსაზღვრო პატრონი შეიქნა.

სწავლა-განათლება ასეთ პირობებში, ცხადია, წინ ვერ წავიდოდა და თითქმის ერთ წერტილზე გაჩერდა. პასტორები თავის მოწაფეებს წერა-კითხვას და საღვთო სჯულის მეტს არას ასწავლიდენ. მაშასადამე ხალხის მთელი სწავლა-განათლება მხოლოდ წერა-კითხვაში იხატებოდა. სამუდამო შკოლა შვეციაში იმ დროს ხსენებაშიაც არ იყო. არსებობდა მხოლოდ ეგრედ წოდებული „მოძრავი შკოლები“. მასწავლებლები სოფლიდამ სოფლად მოგზაურობდენ და ხალხს ამ დროებით შკოლებში ასწავლიდენ. სწავლა, რასაკვირველია, სამრევლო შკოლებში ხდებოდა. იმ დროინდელ სწავლა-განათლებას კლერიკალური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდგან მასწავლებლები სავსებით სამღვდელოების ხელქვეითნი იყვნენ და მას ემორჩილებოდენ.

წარსულ საუკუნის დასაწყისში პირველად დაიბადა აზრი—მოძრავი შკოლები სამუდამო სასწავლებლათ გარდაექმნათ, ხოლო 1850 წლიდან კი, როგორც ზევით მოგახსენეთ, შვეციასა და ნორვეგიაში ყველგან მოძრავი შკოლების მაგიერად სამუდამო შკოლები დაარსდა..

1842 წლის ორგანიული კანონის ძალდებით პირველდაწყებით განათლებაში ღრმა ცვლილება მოხდა ის უფრო ფართო ნიადაგზე დააყენეს. აქედან დაწყებული წერა-კითხვის სწავლება სავალდებულო შეიქნა ყველა მოწაფესათვის 7—18 წლამდი. მამა მოვალეა გაგზავნოს თავისი შვილი საზოგადო შკოლაში, ხოლო ფაბრიკა—ქარხნის პატრონები ჯარიმას იხდიან, თუ მათ შკოლა დაუმთავრებელი შეგირდები აიყვანეს სამუშაოდ. ყოველ მრევლს, თუ მეტი არა, ერთი შკოლა მაინც უნდა ქონდეს. ქალაქებსა და ზოგიერთ მდიდარ მრევლს რამდენიმე სამუდამო შკოლა აქვთ ხოლმე.

სწავლება შკოლებში უფასოა. ამას გარდა ღარიბი ბავშვები სამრევლო—სამხრუნველო დაწესებულებათაგან სხვა და სხვა გვარი შემწეობითაც კი სარგებლობენ. შემწეობა იმაში გამოიხატება, რომ ბავშვებს თავ თავის დროზე ტანისამოსს, სასწავლო სახელმძღვანელოებს, წიგნებსა და თითქმის ფულსაც კი ურიგებენ. ასეთ „მუქთ საჩუქარს“ („даровщина“) მოწაფეთა ზნეობაზე ცუდათ სრულიადაც არ უმოქმედნია, როგორც ამას ზოგიერთი წინასწარმეტყველებდა. ურწმუნო თომები დაბეჯითებით გაიძახოდენ, რომ ასეთი საჩუქრები მეტისმეტად უარყოფით სამსახურს გაუწევს ბავშვების ზნეობრივ განვითარებასო. სინამდვილემ კი სულ სხვა გვიჩვენა: აღზრდის მხრივ ზემოხსენებულ ქველმოქმედებას მოულოდნელი შედეგები მოყვა. მოწაფეები ჭკვიანურათ სარგებლობდენ ნაჩუქარი ფულით და სასწავლო თუ სხვა ნივთს მეტის მეტათ ფრთხილად ეპყრობოდენ. ამასთან ერთად ბავშვებს წინდაწინვე აგონებდენ, რომ საზოგადოება მათ აძლევს მთელ თავის ქონებას და რომ მათი ზნეობრივი მოვალეობაა—ნივთების მოვლა—პატრონობით დაამტკიცონ საზოგადოების მათდამი ასეთი ნდობის საფუძვლიანობა. მართალი უნდა ითქვას, რომ ბავშვების უმეტესობამ სავსებით დააკმაყოფილა ქველმოქმედთა კეთილი სურვილები.

შვედების შკოლას, სხვათა შორის, ერთი პედაგოგიური მხრივ მეტათ სიმპატიური თვისება აქვს: აქ უნიჭო ბავშვები მარტოკა კითხვასა, თვლასა და ზოგიერთ საჭირო ლოცვებს სწავლობენ. მათ არ აიძულებენ ნიჭიერ ყმაწვილებთან ერთად მათაც გაიარონ სწავლის მთელი კურსი საჭირო მოწმობის მისაღებათ. საზოგადოთ, უსწავლელების მდგომარეობა არაა შვეციაში საბარბიელო მათ არ შეუძლიათ ეკლესიური წესით იქორწინონ. ქორწინებას ამ შემთხვევაში მოქალაქობრივი ხასიათი აქვს, მაგრამ ის ჯერჯერობით ოფიციალურათ დაკანონებული არ არის.

სახალხო შკოლები შვეციაში 5 კატეგორიათ იყოფა: 1. პირველი კატეგორიის შკოლებს მცირე, ან დაბალი შკოლები ეკუთვნის. აქ პაწია, სულ მცირე წლოვანი ბავშვები პირველდაწყებით სწავლას იღებენ. 2. მეორე კატეგორიის შკოლებს ეგრეთ წოდებული უმცროსი სახალხო შკოლები ეკუთვნის. მათი მიზანიც იგივეა, რაც პირველი კატეგორიის შკოლების, მხოლოდ ესენი მცირეთ დასახლებულ ადგილებში არსებობენ. 3. მესამე კატეგორიის შკოლებს პირდაპირ სახალხო შკოლები ეწოდება.

აქ სწავლის კურსი უფრო ფართოა და მეცადინეობენ მოზრდილი ბავშვები. 4. მეოთხე კატეგორიის შკოლები მესამე კატეგორიის შკოლების გაგრძელებას წარმოადგენს. 5. მეხუთე კატეგორიის შკოლებს უმაღლესი სახალხო შკოლები ეწოდება. ორ უკანასკნელ კატეგორიის შკოლებში არსებობს უმაღლესი კურსები. შვედებს ძლიერ უყვართ თავისი სახალხო შკოლა. ისინი იშვიათ ზრუნვას იჩენენ და დიდი ყურადღებით ეკიდებიან ამ წმინდა დაწესებულებას. საზოგადოებაცა და მთავრობაც ერთგვარ ცდილობს ხელი შეუწყონ შკოლის აყვავებას და არავითარი ხარჯი ამ მიზნის მისაღწევათ მათ არაოდეს არ ეძვირებათ. აქ ყველას ღრმათ სწამს, რომ ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველი—სახალხო შკოლაა. შკოლების უმეტესობა მდიდრათაა მოწყობილი და ერთი მათგანიც არ განიცდის მატერიალურ გაჭირვებას. ეს ასედაც უნდა იყოს, რადგან გონიერი შვედი მზათაა შკოლის კეთილდღეობას თავისი უკანასკნელი სარჩო საბადებელიც კი შესწიროს, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

სახალხო შკოლათა ორგანიზაცია შვეციაში დაახლოვებითი ასეთია: სათავეში დგას შკოლის საბჭოები; საბჭოს თავმჯდომარეთ ჩვეულებრივათ ადგილობრივი ღვდელი, პასტორია, ხოლო წევრებათ—მრევლის მიერ თავის წრეში ამორჩეული პირები. აქავე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ შვედთა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი მეტათ სიმპატიური მხარე, სახელდობ ისა, რომ სასწავლებელთა საბჭოს წევრებათ ხშირათ ქალებსაც ირჩევენ. ამგვარად, სასწავლებლების უახლოეს ხელმძღვანელობას სახელმწიფო შკოლის საბჭოებს აძლევს. უკანასკნელები თავისი მხრით დამოკიდებულნი არიან ადგილობრივი კონსისტორიისაგან, რომელსაც სათავეში ეპისკოპოზი უდგას. შკოლების სარევიზიოთ მეფისაგან ინიშნებიან ინსპექტორები. შკოლების უფროს ხელმძღვანელათ კი თვითონ მეფე ითვლება. ერთ დროს სახალხო სასწავლებელთა იდეალურ მფარველათ ამას წინათ გარდაცვლილი მეფე ოსკარ მე II-ე იყო. მას, როგორც მეცნიერსა და გონიერ ადამიანს, ძლიერ აინტერესებდა საზოგადოთ განათლების საქმე და როგორც სასოფლო შკოლებს, ისე უმაღლეს სახალხო კურსებს სერიოზულ მფარველობას უწევდა.

ოსკარ მეფის დამახასიათებლად მოგვიყავს ასეთ მაგალითს. მას ძალიან უყვარდა შკოლების დათვალიერება. ის ხან ეწვეოდა სასწავლებელს, როგორც [illegible] რევიზორი, ხან დაიარებოდა „ინკოგნიტო“; უკანასკნელ შემთხვევაში არც ამალა ყავდა ხოლმე და არც პოლიციის წარმომადგენელი. უბრალოთ ჩაცმული მოხუცი მოდიოდა შკოლაში როგორც ჩვეულებრივი სტუმარი და [illegible] და გაკვეთილებს.

ერთხელ მეფე ეწვია სასოფლო შკოლას ერთ მიყრუებულ ადგილში. მასწავლებლის ნებადართვით ის შევიდა კლასში და დაჯდა იმ სკამზე, სადაც ჩვეულებრივ სტუმრები სხდებიან ხოლმე.

შკოლის გამგე და მასწავლებელი ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელსაც მოსწავლო სემინარია ჰქონდა გათავებული. ამ ქალს მოსწონდა მეფე ოსკარი [illegible] მის სახელს მუდამ ქებით იხსენიებდა. გაკვეთილი ჩინებულად მიდიოდა. მოწაფეები დიდის ხალისით უსმენდენ მასწავლებელს და მის კითხვებზე გონიერ პასუხებს აძლევდენ.

გაკვეთილის დროს მასწავლებელმა სხვათა შორის მიმართა ბავშვებს ასეთი წინადადებით: დაასახელეთ შვეციის მეფენი, რომელთაც თავის მოქმედებით ან რაინდული სიმამაცით ხალხში სახელი მოიხვეჭესო.. მაშინვე მიუგეს პასუ[illegible] დაასახელეს—გუსტავი, ადოლფი, [illegible]ლოს მეთორმეტე და აგრეთვე ოსკარ [illegible] თავის სახელის გაგონებაზე მეფემ [illegible] ბი ცქვიტა და მასწავლებელს სთხოვა [illegible] შეიძლება მოწაფეებმა ცოცხალი [illegible] თებით დაამტკიცონ, რომ ოსკარი [illegible] ქებისა... აღნიშნონ მისი ღვაწლი [illegible] წინაშე...

საუბედუროთ, ვერც ერთმა მო[illegible] ამის შესახებ ვერა სთქვა რა. ჩამო[illegible] სიჩუმე... მეტად უკმაყოფილო [illegible] თვით მასწავლებელი ამ ბებრუხანა [illegible] რის, რომლის კი [illegible] ფუჭ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაკლდა! …ისე ამბობს და ხან ისე, როგორც …ება. ერთი სიტყვით, კიდევაცა …და კიდევაც ჰკერავს.

…რთველოს განაპირა კუთხეებს, რო- …ც ჩვენს ქვეყანასთან მჭიდრო ეკო- …რისა და ისტორიული კავშირით …შეერთებული, კიდევაც უთმობს …ლ სომხურ თვითმართველობასა და …ობს. თუ სომხების გული ვერ …ოთ, დავუთმოთ, თუ ჰო, ნუ და- …ოთ, ბძანებს.

…ებმა ავტორის ორპირობა თავი- …დ გამოიყენეს, „იმ-ამ“-ის დაპი- …არ დასჯერდენ, ბორჩალოსი და …ალაქის მაზრებსა და არტაანისა და …ის ოლქებს გარდა ახალციხის მა- …მოითხოვეს და სატახტო გაზეთებ- …ჰყრდენ, ხსენებულ მხარეებს ქარ- …ეც კი სომხეთის ნაწილებად ალი- …ნო.

…გვარად „იმ-ამ“-მა მათ ხელ-მოსაკი- …საბუთი ჩაუგდო ხელში და მა- …ც საქართველოს იდეას უღალატა. …ამ უბედურება ის არის, რომ თა- …უცნაური ორპოვოზის ქადაგებას …განაგრძობს. მაგალითად, „მეგო- …ვე შინწინდელ ნუმერში ხელახლა …ლება ხსენებულ საკითხს და კიდევ …რებს: საქართველოს ისტორიული ნა- …ბი რომ საქართველოს არ ჩამოეჭრას, …ც გვიამება, მაგრამ ხანდახან საჭიროა …სხეულს სნეული ნაწილი …ოს და ეს ოპერაცია შეიძლება …ჩვევაშიაც აუცილებელი შეიქნესო!

„იმ-ამ“! ყველაფერს შეგინდობენ, …ასეთ დიდსა და წმინდა საქმეში …ოპობას კი არ გაპატიებენ.

…ურნები თავს დაგვჩხავიან და …ოლად მოჰყიან ჩვენზე. და ჩვენ …ორპირობა ეროვნულ სხეულში …ოლი არა გვქონდეს, ე. ი. ეროვ- …შეგნება რომ არ გვაკლდეს, ჩვენი …ბი აჭარელთა გასამართლების დროს …მოწმეებად გამოსვლას გაბედავდენ? …ედავდენ იგინივე დღეს აჭარელთა …ანაბარად მიტოვებული მამულ-დე- …იჯარით ხელში ჩაგდებას?! გაბე- …მაშ ჩვენი ეროვნული გრძნობის …შეურაცხყოფას?! და თუ …ბედიან, რას-ღა სჩადიან ჩუ-

…ართველებმა თავისი რაინდობა და კე- …თილშობილობა იფარავს. ამ ომში ისინი …მაგალითად შეიქნენ, მათი ღვა- …არა ერთხელ იყო აღნიშნული უმა- …მთავარსარდლის მიერ და მათი სა- …სამხედრონი აჭარწულებენ დაბზე-ხლებულთა სასიხლარ პორებს. ქართველი არაოდეს მოღალატე არა ყოფილა და ეს თვისება მაჰმადიან ქართველებსაც სავსებით შერჩენიათ. და პირუთვნელმა სასამართლომ ბოროტგანმზრახველთა ცრუმოწმობა ცხადჰყო და აჭარელთა სიმართლე აღიარა.

მაგრამ ბოროტ ადამიანებს სურსთ აჭარელთა უბედურება თავის კერძო ინტერესებისათვის გამოიყენონ.

წაიკითხეთ ჰორიზონში სომხური ერობის პროექტი. ეს ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობის შეურაცხყოფაა! სომხებს უნდათ, ზევით ხსენებული მაზრები და ოლქები საქართველოს ჩამოათალონ და ერევნის გუბერნიას მიაკერონ; და, რომ სომხურ საერობო ერთეულში მაჰმადიან. თა რაოდენობა ხელოვნურად შეამცირონ, ამგვარსავე ოპერაციას უმზადებენ ერევნის გუბერნიასაც. ერთი სიტყვით, ამაზე უფრო ეგოისტური, ცალმხრივი პოლიტიკა შეუძლებელია!

მაგრამ გვიბძანონ, რა უფლებით უნდა მიისაკუთრონ ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები, რომელთაც უთბილისოდ ცხოვრება არ შეუძლიათ, ან არტაანისა და ოლთისის ოლქები, რომელთა მცხოვრებნი ჩამომავლობით ზნითა და ჩვეულებითა და სარწმუნოებით შავშელ-აჭარლების ღვიძლ ძმები არიან და ერევნის სომხებთან საერთო არ აქვსთ რა?!

ერთი სიტყვით, დაბალ ღობედ დაგვინახეს და უნდათ გადაგვთელონ!

და ამ დროს, როდესაც აუცილებელია, რომ ამგვარ სამტროს, თავდასხმით პოლიტიკას ჩვენი მტკიცე და შეურყეველი პოლიტიკა დავუპირდაპიროთ, „იმ-ამი“, „სიტყვა“ და მათი ამხანაგები ორპირობენ და ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის დამამცირებელ პოლიტიკას აწარმოებენ!

კმარა ბ-ნო პოლიტიკურო „შანსეებო“, ამდენი ორპირობა! მერწმუნეთ, საქართველოს თქვენისთანა-დოსტაქრების მკურნალობა არა სჭირდება: შეჩერდით! თორემ შემდეგ გვიანღა იქნება სინანული და თითზე კბენანი!

ახარი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

წითელ ბილეთიანების გაწვევა.

თანხმად უმაღლესი ბრძანებისა, სამხედრო საკრებულომ უკვე გამოაკრა განცხადებები წითელ ბილეთიანების გაწვევის შესახებ. იწვევენ პ-რველ ხარისხის რატნიკებს 1903—1916 წლამდი.

რატნიკები თავისი ყინაობის მოწმობებით უნდა გამოცხადდენ 4 თებერვალს სამაზრო სამხედრო სამართველოს უფროსთან.

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიის გამგე ბ-ნი იოსებ ოცხელი უკვე დაბრუნდა თბილისიდან და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ერთგული სამსახურისათვის მეფის მოადგილეს დასაჯილდოებლათ წარუდგინა ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწე ალექსი გაგუა.

✦ ქუთაისის გუბერნიის მარშლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე უკვე დაბრუნდა თბილისიდან და შეუდგა მოვალეობის აღსრულებას.

✦ პირველ თებერვალს ქუთაისის ქართულ თეატრში, ქართულმა დრამატიულმა დასმა ჩვენი ნიჭიერ მსახიობის მ. მდივნის ქალის საბენეფისოდ წარმოადგინა „იუდას მემკვიდრე“. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო. მობენეფისეს მრავალი საჩუქარი მიართვეს. შემოსავალი იყო 500 მანეთამდე.

✦ პირველ თებერვლიდან ყველა თეატრებში და ელექტრო თეატრებში შემოიღეს სამხედრო ბეგარა 25 პროც. ბეგარამ საგრძნობლათ გააძვირა ბილეთები.

✦ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ პირველ თებერვლიდან დაიწყო ლექციების კითხვა. პირველი ლექცია წაიკითხა ალ. გარსევანიშვილმა ფინლანდიის მგოსნის გურენბერგის შესახებ. საზოგადოება ბევრი დაესწრო.

✦ ქუთაისის საერობო მესამე რაიონის აგრონომმა უკვე მიიღო 200 მისხალი აბრეშუმის ჭიის თესლი, რომელიც უფასოთ დაურიგდება აღნიშნული რაიონის მცხოვრებთ. 60 მისხალი ამ თესლისა დაურიგდება ოკრიბის მცხოვრებთ.

✦ ჩვენი ცნობილი მოღვაწე ნიკო ნ. ნიკოლაძე ამ ჟამათ ქუთაისში იმყოფება

✦ დავით კლდიაშვილის სამკითხველოს გამგეობამ წარუდგინა ქ. შ. წ. კ. გ. საზ. ქუთაისის განყოფილებას აღნიშნული სამკითხველოს ანგარიში. როგორც ანგარიშიდან სჩანს, სამკითხველო არსებობს 20 იანვრისთვიდან 1914 წლ. ამ ხნის განმავლობაში სამკითხველოთი უსარგებლნია 2000 მკითხველს, საწევრო შემოსავალი ქონია 288 მანეთი.

✦ ქუთაისის ქალაქის მოურავი ბ-ნი ჩიქოვანი პირველ თებერვალს გაემგზავრა თბილისს, სადაც ის ითათბირებს ქუთაისში სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის ლაზარეთის გახსნის შესახებ კავკასიის ქალაქთა კავშირის რწმუნებულთან.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ბრმების დამხმარე კომიტეტს გაუგზავნა 5 მ. 75 კაპ; რომელიც წიგნაკებით შეგროვდა ქუთაისში.

✦ პარასკევს, 5 თებერვალს, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს დარბაზში მოხდება „სინათლის“ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა სთხოვს გუბერნატორს, მიეცეს ქალაქის გამგეობას ის დარჩენილი ფული 7746 მ. 87 კ. რომელიც გადადებული იყო ხაზინიდან 1915 წ. ქალაქის გამგეობის საჭიროებისთვის.

უმაღლესი ბრძანება.

უმაღლესი ბრძანების თანახმად მეორე ხარისხის (ლურჯ ბილეთიანები) რატნიკები გაიწვევიან რუსეთის ყველა ქალაქიდან და გუბერნიებიდან 1908 წლიდან 1916 წლამდე, გარდა კავკასიისა და პრიამურის საგენერალო საგუბერნატოროისა.

✦ 29 იანვარს ძველი თბილისის პირველი შესახვევის მცხოვრებს სპირიდონ ჯაილავას სახლს ვიღაც უცნობებმა კერძო ინტერესით თოფის სროლა დაუწყეს. აღსანიშნავია, რომ ასეთ ქუჩებზე დარაჯები სრულიად არ სდგანან.

✦ კავკასიის მეფის მოადგილის კანცელარია ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს, რომ ფოთის ქალაქის თვითმართველობას სამინისტრომ ნება დართო გაიხარჯოს საფუთო გადასახადისაგან $^1/_5$ 36000 მ. ომისაგან გამოწვეულ ქალაქის სხვადასხვა ხარჯის დასაფარავათ.

✦ შიო მღვიმელის იუბილეს მომწყობი კომისია დეპეშით გვატყობინებს შემდეგს: დაბეჯითებით ვსთხოვთ ქუთათურებს, გადასდონ შიო-მღვიმელის სადღესასწაულო დღე ქუთაისში, ვინაიდან 14 თებერვლისათვის ნებართვა აღებულია თბილისის სახაზინო თეატრში. შიო თანახმაა

✦ ამ დღეებში გამოვა „პროლეტარის“ გამოცემა პატარა წიგნაკი ბოგდანოვისა „მოძრაობა და ფილოსოფია“ ფასი ორი შაური.

ალ. ალ. გარსევანიშვილის ლექცია.

სამშაბათს ქუთაისის ქალაქის თეატრში ფრიად საყურადღებო ლექცია გაიმართა. ბ. ალ. გარსევანიშვილის ლექციებს ხალხი მუდამ ბლომად ესწრება. ეს აიხსნება იმით, რომ ამ ლექტორის ლექციები მუდამ მდიდარია შინაარსით და მსუბუქი ბუნებრივი ენით იკითხება.

სამშაბათის ლექცია ეხებოდა ფინლანდიის მგოსნის რუნებერგის მოღვაწეობას და მის სკოლას. ლექტორი მოკლედ შეეხო ფინლანდიის ხალხის ისტორიას, და აღნიშნა ის ფრიად საგულისხმო შედეგები, რომელიც მოჰყვა ფინების მშვიდობიან და მუდმივ შრომას ეროვნული კეთილდღეობის შესაქმნელად.

ლექტორი უფრო ვრცლად შეეხო სწავლა განათლების განვითარების ფინლანდიაში და აღნიშნა სკოლების, სახალხო უნივერსიტეტების და პერიოდულ გამოცემათა განსაცვიფრებელი ზრდა.

ამის შემდეგ ლექტორი ფინლანდიის ეროვნულ მგოსნების რუნებერგის, მისი მიმდევარის ტოპელიუსის და სხ. დახასიათებაზე გადავიდა. ამ პირთა გარშემო იკრიბება მთელი სკოლა ფინელთა ეროვნულ—მოღვაწეთა. მათი პოეზიის პატრიოტულ მოტივებს ღრმა კვალი დაუჩენია ფინელთა მუსიკის, და მხატვრობის განვითარებაზე და მჭიდროთ დამკვიდრებულა ხალხურ პოეზიაში.

ლექციის კითხვას დროს პატივცემული ლექტორის ხელმძღვანელობით ქართულ გიმნაზიის სიმებიანმა ოკესტრმა შეასრულა რუნებერგის ლექსებზე დაწერილი რამოდენიმე მუსიკალური პიესა, ლექციის შემდეგ ეს მუსიკალური ნუმრები ხელახლა განმეორებული იქნა.

ამ ფრიად ორიგინალური ლექციით საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩა. ქალაქის თეატრი ხალხით სავსე იყო.

უკრაინელთა განცხადება.

გაზეთი „დენი“ ერთ ევროპიული გაზეთის სიტყვას, შემოკლებით გადმოგვცემს „საერთო საერო უკრაინელთა საბჭოს“ შემდეგ დეკლარაციას:

„ამ ბოლო დროს ზოგიერთი დიპლომატისაგან მრავალ გზის გამოითქვა სინამდვილესთან შეუფერებელი აზრი, ვითომ ავსტრიას უნდა მოგლიჯონ გალიცია და ბუკოვინა და შეუერთონ ის ახალ სახელმწიფოს, რომელშიაც მთელი პოლონეთი და უკრაინა შევა; აი, ამის გამო უკრაინელთა საერო საბჭოს ძალიან აკვირვებს ის ახირებული უყურადღებობა ავსტრიის ინტერესებისადმი, როგორსაც ზემოთ დასახელებული პოლიტიკოსები სჩადიან; ისინი, როგორც სჩანს, არც უკრაინელების სურვილს უწევენ ანგარიშს და არცა ავსტრიის სახელმწიფოებრივ ინტერესს! ისინი აშკარათ ქადაგებენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც აღმოფხვრას უქადის იმ ერს, რომელიც ავსტრიის იმპერატორის და მონარქიის დიდათ ერთგულია.

უკრაინელთა საერო საბჭო აღასტურებს, რომ უკრაინელთა ყველა მიწების ავსტრიასთან დაკავშირება მეტად არსებით და საჭირო საგნათ მიაჩნია მთელი უკრაინელი ერისათვის და ეს საჭიროება უძევს საფუძვლათ ყველა უკრაინულ პარტიების პროგრამას.

რაც შეეხება იმ ახალ რუსულ ტერიტორიებს, რომელიც ამ ომის დროს ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოებთან არის შემოერთებული და შემდეგშიაც იქ შემოუერთებენ, უკრაინელთა საერო საბჭო ფიქრობს, რომ ამ ტერიტორიების პოლიტიკურ მართვა-გამგეობას როგორც მცხოვრებთა საკეთილდღეოთ, ისე სახელმწიფოს ინტერესების დასაცავათ, საფუძვლათ ნაციონალური პრინციპი უნდა დაედვას. სხვაფრივ შეუძლებელია. კერძოთ რაც შეეხება ისტორიულ ეთნოგრაფიულ მხარეებს ისეთ უკრაინულ ტერიტორიებისას, როგორც არიან მაგალითად: ხოლმის გუბერნია, გროდნოსა, მინსკისა და ვილნოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიწები, ესენი თუ ცალკე უკრაინის სახელმწიფოს გარეთ დარჩებიან, მაშინ მათ უნდა მიენიჭოს ავტონომიური, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა და დაკავშირებული უნდა დარჩნენ ცენტრალურ სახელმწიფოებთან“.

უკრაინელთა საერო საბჭო გამოდის რა ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებიდან, წინადადებას აძლევს ცენტრალურ სახელმწიფოების მთავრობის წარმომადგენელთ, რომ უკვე დაკავებულ ტერიტორიების მართვა-გამგეობის დროს მხედველობაში იქონიონ პროექტი, რომლის მთავარი პრინციპი საბჭოს მიერ აღიარებულია.

(დ.)

მევენახეთა საყურადღებოთ.

გვექნება შაბიამანი და გოგირდი თუ არა, აი ის კითხვა, რომელიც ყველას გვაფიქრებს დანამდვილებით, სა[illegible]სუხს ვერავინ იღებს. არ იცის [illegible]ნება საყოფათ შაბიამანი და გოგირდი თუ არა?! არც ის ვიცით, თუ რა ეღირება. ამის მიზეზია დღევანდელი მსოფლიო შფოთი და საშინელებაა. ქუთაისის საგუბერნიო მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტმა თავისი მხრით ყოველივე ზომები მიიღო. მხოლოდ აქ უნდა მოვაგონო ჩვენებურ მევენახეებს შემდეგი: შემოდგომაზე რომ წვრილი კრედიტის დაწესებულებების ყრილობები იყო ზესტაფონში, ქუთაისში, ოზურგეთსა და აბაშაში ამ ყრილობებზე მიღებულ იქნა ის აზრი, რომ ვისაც შაბიამნისა და გოგირდის შეძენა სურს, მათ ახლობელ საკრედიტო დაწესებულებაში უნდა შეიტანონ ბე. თუ იქნა შაბიამანი და გოგირდი (რამდენიც უნდა იქნეს) ეს გარდაეცემა დაწესებულებებს, რომლებიც ხალხში გაანაწილებენ მევენახეობის კომიტეტის ხელმძღვანელობით. მაშასადამე, ბატონებო ნუ გვიანობთ, შეიტანეთ ბეები საკრედიტო დაწესებულებებში ყველა წევრმა და არა წევრებმა. როგორც დაახლოვებით ირკვევა შაბიამანი ფუთი ეღირება 15 მანეთზე მეტი. რასაც მეტს შეიტანთ ბეს ის სჯობია, რომ, როცა საჭირო იქნება და შაბიამანს მოგვაწვდიან ფულით არ დავბრკოლდეთ. გირჩევთ ბე შეიტანოთ ფუთზე არა ნაკლებ ათი მანეთისა. გოგირდზე ჯერ არავითარი ცნობა არ არის გარკვეული. მხოლოდ გოგირდისთვისაც საჭიროა იმავე დაწესებულებებში ბეს შეტანა, ფუთზე ხუთი მანეთი მაინც,—ჩემის აზრით. კრედიტულ დაწესებულებებს დაუყონებლივ შეკრებილი ფული უნდა წარმოუგზავნონ საგუბერნიო ბიუროს ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩა სახლი ალტიპარმაკისა. ჩვენ დიდათ დავავალებთ და ვსთხოვთ ყველა გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

ქუთაისის გუბერნიის მევენახეობისა და მეღვინეობის უფროსი სპეციალისტი
ქ. ზერეკაშვილი.

სტუდენტთა საღამო.*)

12 იანვარს ქუთაისის საზოგადო საკრებულო დარბაზში გაიმართა სტუდენტთა ტრადიციული საღამო. ამ საღამოს დიასახლისი იყო ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის თავჯდომარე ქ-ნი ელ. ნ. ხერინოვისა. უნდა თავიდანვე სიმართლე აღვიაროთ, რომ ქუთაისში იშვიათად იმართება ასეთი მიმზიდველი საღამო. აგერ ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც ყოველ წლის 12 იანვარს ქ-ნ ხერინოვის მიერ იმართება სტუდენტთა საღამო, და ყოველთვის სჯობნის სხვა საღამოებს. როგორც შინაარსის მხრით, ისე შემოსავლითაც. საკმარისია გავიხსენოთ წარსული წელი, რომ ამაში დავრწმუნდეთ. იმ დროს, როდესაც ქუთაისის საზოგადოება გარბოდა ქუთაისიდან, მტრის მოახლოვებით გამოწვეულ შიშის გამო, როცა საღამოს გამართვაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, და ვერც ერთმა საქველმოქმედო საზოგადოებამ ვერ გაბედა საღამოს გამართვა, იმ დროს ქ-ნმა ხერინოვისამ მართავს სტუდენტთა საღამოს, საღამო შინაარსიანს და რჩება წმინდა შემოსავალი 1200 მანეთზე მეტი. რით უნდა ავხსნათ ეს და ან საზოგადოთ რით სჯობნის ეს საღამო სხვა საქველმოქმედო საღამოებს? ამ საღამოებს ყოველ წელიწადს ქ-ნი ხერინოვისა მართავს, და ის საღამოსთვის მზადებას თვენახევრით ადრე იწყებს; ასე რომ დეკემბრის შუა რიცხვებში ყოველივე დამზადებულია საღამოსთვის: ლატარიისათვის ნივთები მოგროვილია, რომელიმე ცნობილი პირი მოწვეული ყავს და 12 იანვარს ყოველის მხრივ მომზადებული ხვდება. საზოგადოებამ ეს კარგად იცის, ვინაიდან ხშირად თვითონ ხდება მოწმე, თუ როგორ აგროვებს ის ნივთებს და შემოწირულებებს ამ საღამოსთვის. ამიტომაც ამ საღამომ დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა. ყველანი სიამოვნებით ესწრებიან ამ საღამოს და თავის წვლილს ყველა დაუზარებლივ აწევდის ისეთ სიმპატიურ საზოგადოებას; როგორიც არის „ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება“. წელსაც ეს საღამო, განირჩეოდა ღირსებით სხვა საღამოებიდან, რომელნიც გაიმართს საქველმოქმედო მიზნით, მიუხედავათ იმისა, რომ ძლიერ ცუდ პირობებში იყვნენ ჩაყენებული ამ საღამოს

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა სხვადასხვა მიზეზის გამო დაგვიგვიანდა. **რედ.**

…ჯანაგრძელთ, ქალბატონო, გაკვეთი- …ბატიეთ! თავაზიანად უთხრა სტუ- …ს.

…ასწავლებელმა დაიწყო ახალი კითხვე- …ასნა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ძა- …ან ღელავდა. მალე გაკვეთილიც გა- …და. მოხუცი სტუმარი შევიდა სამას- …ლებლო ოთახში და ალერსიანად უთ- …ახალგაზრდა მასწავლებელს.

— თქვენი გაკვეთილი მომეწონა… …ათია ასე მარტივად საგნის გადმოცე- … მაგრამ თვალებში გატყობთ, რომ …ე გაჯავრებული ხართ… მოულოდ- …მა ჩემმა კითხვამ ალიაქოთი გამოი- …ა მოწაფეებში…

…ა არაფერია, მიუგო მასწავლებელმა… …ის ცხოვრებიდამ ფაქტები არ გა- …დით… ან ფაქტები რა საჭიროა, …ც მეფის სახელი ყველას პირზე გვაკე- …ეგი ჩვენი საყვარელი მამაა!..

…საჭიროა ფაქტების ცოდნა და არა …ბული სიტყვების ხმარება—მიუგო მო- …მა. ყოველ სკოლაში, სადაც კი ვყო- …ვარ, ოსკარის ქება მესმის. მაგრამ …ც მოწაფეებისთვის მიკითხავს, აბა …ყვანეთ მისი ცხოვრებიდამ მაგალი- …ბი, ყველა დაჩუმდება ხოლმე. მე კი …ნია, რომ ჯერ უნდა ასწავლოთ ფაქ- …ბი, მაგალითები და განმარტების შემ- …ე დასკვნა გამოიყვანოთ… აი მაშინ …არქმევთ ის სახელი, რომლისაც ღირსია… …ფქტების უცოდინრობა დიდი ნაკ- …ია…

…შუღლისმით უსმენდა მასწავლებელი ამ …უცის სიტყვებს და თან და თან რწმუნ- …ბოდა, რომ ეს სტუმარი უბრალო კა- …არ უნდა იყვესო. დაინტერესებული …ს პიროვნებით, მან სთხოვა სტუმარს, …ეწერა ჟურნალში თავისი სახელი და …არი… წარმოიდგინეთ უზომო განცვი- …ება მასწავლებლისა, როცა მან ამოი- …ობა შემდეგი სიტყვები: დაესწარი სამშობლო ისტორიის გაკვეთილზე. მომეწონა. ახალგაზრდა პედაგოგს მივეცი შენიშვნა პირადათ, რომლით ის იმედია, მომავალში ისარგებლებს.

შვეციის კაროლი ოსკარ II.

საზოგადოთ ეს ღირსეული გვირგვინოსანი დიდის პატივისცემით ეპყრობოდა სოფლის მასწავლებლებს. მის დროს ყოველ მასწავლებელს შეეძლო თავისუფლად შესვლა სასახლეში, მეფე ენახა მოსალაპარაკებლად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ოსკარი გაზეთების კითხვის დროს ჯერ ყურადღებას აქცევდა მხოლოდ იმ სტატიებს, რომელიც სასოფლო სკოლას შეეხებოდენ და მერე კითხულობდა პოლიტიკაზე. მისი ადიუტანტი წინდაწინვე წითელი კარანდაშით აღნიშნავდა ხოლმე ასეთ სტატიებს და ამით საქმეს უადვილებდა მეფესა ახლანდელი კაროლი შვეციისა, უფროსი შვილი ოსკარისა, მამის მაგალითებს მისდევს და სასოფლო სკოლას ყოველგვარ დახმარებას უწევს, რათა ეს კულტურული დაწესებულება წინ წაიწიოს.

ასეთმა მონაწილეობამ მთავრობის წარმომადგენელთა დიდი გავლენა იქონია შვედურ სახალხო სკოლებზე, მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება და ამ ჟამად უსწავლელთა რიცხვი ერთ პროცენტზე ნაკლებია, ესე იგი ყოველ ას კაცზე მხოლოდ ერთია უსწავლელი…

შვეციაში, ამბობს რუსი მოგზაური ლევ ტოლსტოის შვილი, ისეთი გლეხი, ან ხელოსანი არ არის, რომელიც ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს არ კითხულობდეს. სტატისტიკური ცნობების მიხედვით, შვედურ ენაზე ყოველ დღე ათასზე მეტი ახალი წიგნი და ჟურნალი იბეჭდება…

ალ. გარსევანიშვილი.

(შემდეგი იქნება)

მოშწყობნი. ზედი-ზედ გაიმართა სხვა საღამოები მახლობელ რიცხვებში, რაიც ხელის შემშლელი იყო. 6 იანვარს გაიმართა საღამო „სინათლის“ საზოგადოების მიერ, 14 იანვრისთვის კიდევ საღამო მზადდებოდა, ისე რომ, 12 იანვარი შუაში მოექცა მათი ბილეთები ყველა ამ საღამოებზე ხელზე იყიდებოდა; გარდა ამისა უმეტეს შემთხვევაში ჩვენ საღამო იმართება ისეთ დღეს, როცა საქმის დღე და მოცლილი არ არის მშრომელი ხალხი. მიუხედავათ ყოველივე ამისა, საღამომ მაინც ჩინებულად ჩაიარა და მრავალი საზოგადოება დაესწრო; ზოგი უადგილობის გამო გაბრუნდა კიდეც. ეს აიხსნება მით, რომ ამ საღამომ წარსულ წლებში გამართულ ასევე საღამოებით მოიპოვა საზოგადოების ნდობა და პატივისცემა. ამიტომაც იყო წელსაც ჩვეულებრივად დარბაზი გაჭედილი იყო საზოგადოებით. ამის მიზეზი არის, კვლავ ვიმეორებ, ის გამოცდილი შრომა, რომელსაც ეწევა ამ საღამოსთვის ქ-ნი ხუჩინოვის მთელი ოჯახი. და ამ შრომამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. ჩვეულებრივათ ძვირფასი საღამო მოეწყვეს:

დარბაზი მშვენივრად მორთული ცოცხალი მცენარეებით და ყვავილებით. საღამოზე უკრავდა მუსიკა და მეთარეთა დასი. საღამო გაიხსნა სტუდენტთა ხორით, რომელთაც მ. ბარაბაძის ლოტბარობით შეასრულეს „Gaudeamus“ და სტუდენტური ენის სხვა სიმღერები. ამის შემდეგ წავიდა შემდეგი ნომრები: ი. ქლენტმა გრძნობით დაკვირვებით წაიკითხა ია ეკალაძის შინაარსიანი, დროის შესაფერისი გრძნობიერი ლექსი „ბრძოლის ველად“. ქართველ დასის მიერ შალვა დადიანის რეჟისორობით წარმოდგენილ იქნა მხიარული მოხაკა სიმღერით და ცეკვით „ქორწილი სოფლად“. მეღლიშვილისა. საიმპერატორო თეატრის მსახიობმა ბერნარდიმ და იტალიური ოპერის მსახიობმა ქალმა კარმენ სოლიერიმ შეასრულეს ნომრები თავიანთი რეპერტუარიდან. მათ თავიანთ ძვირფასი ხმით საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს, მრავალჯერ გამოიწვიეს და ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ფიქენკომ მოხდენილად წაიკითხა რუსულ ენაზე ხალხური სცენები. აკაკი ფალავამ წაიკითხა ი. გრიშაშვილის ლექსი „აკომპანიმენტი“. სტუდენტ ილარიონ ქლენტმა ბევრი აცინა საზოგადოება თავის მოხდენილი სცენებით, რის გამოც ტაშის ცემით იქნა დაჯილდოვებული. დასასრულ მ. ნემომ და ნ. ჩიგუნავამ შეასრულეს სადღესთ კუპლეტები „გული ჯანის“ ხმაზე. სრულიად მოულოდნელად ვინაიდან პროგრამაში არ იყო მოხსენებული და საზოგადოების სასიამოვნოდ სტუდენტების თხოვნით სცენაზე გამოჩნდა თბილისის საიმპერატორო სამუსიკო სკოლის მოწაფე ახალგაზრდა მომღერალი ქალი მარო ხუჩინოვის ასული, რომელმაც ორათ ორი ნომერი შეასრულა. ქართული და რუსული რომანსი, რომლითაც აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება და დიდი ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ამ ჩვენს თანამემამულე ახალგაზრდა ქალს, გულწრფელად უნდა ალვაროთ მეტად სასიამოვნო, ტკბილი ხმა ქონია; ნიჭითაც უხვად არის დაჯილდოვებული და თუ გზას არ ასცდა და განაგრძო შრომა თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს თავის დარგში. ასეთი ძვირფასი საღამო იყო და საღამოს ასეთი ჩინებულად მოწყობისათვის მადლობის მეტი რა გვეთქმის ქ—ნ. ელ. ნ. ხუჩინოვისადმი, და მისი შრომაც არ დავიწყნია ქუთაისის საზოგადოებას. საღამოს დასასრულს აიხადა ფარდა, და სცენაზე გამოჩნდა ჩამწკრივებული სტუდენტობა და საზოგადოების გამგეობა. მათი თხოვნით სცენაზე ამოვიდა დიასახლისი საღამოისა ქ—ნი ელ. ნ. ხუჩინოვისა. სტუდენტ ილარიონ ქლენტმა მიართვა ალბომი და სტუდენტთა სახელით მიმართა შემდეგი სიტყვით: დიდათ პატივცემულო, ქალბატონო ელისაბედ!

ნება გვიბოძეთ ჩვენი ულრმესი და უგულწრფელესი მადლობა გამოგიცხადოთ იმ უანგარო შრომისათვის, რომელსაც ეს რამდენიმე წელიწადია დაუღალავათ ეწევით ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დახმარების საქმეში.

შრომა თქვენი ბევრისათვის დაფარულია, მხოლოდ ჩვენ სამშობლოდან რუსეთის ცივ ქალაქებში სასწავლად გადახვეწილმა ახალგაზრდობამ ვიცით, თუ რამდენი ჯაფისა და უსიამოვნების ატანა გიხდებათ ჩვენდა სახმარებლად.

თქვენ გიყვართ ქართველი სტუდენტობა, როგორც ღრმად მოსიყვარულე დედას უყვარს თავისი პირმშო, და დაე ჩვენ ჩავითვალნეთ ულირს შვილებათ ჩვენის ქვეყნისა, თუ ოდესმე დავივიწყებთ თქვენს ამაგს.

იცოცხლეთ, ქალბატონო ელისაბედ მრავალ ჟამიერ და ეს ჩვენგან მოძღვნილი ცვარ ფურცელი ქაღალდისა იყოს თავმდები იმ გულმხურვალე მადლობისა თქვენდამი, რომელსაც ჩვენ, სტუდენტობა, მარადის გულით ვატარებთ.

ერთხელ კიდევ გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულწრფელი მადლობა და პატივისცემა. ჩვენ ღრმად გვწამს შემდეგშიაც არ დაიზარებთ შრომას და იმ პატარა, მაგრამ დიდმნიშვნელოვან საზოგადოებას, რომელსაც „ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება“ ეწოდება, გაზრდით და გააფართოებთ იქამდე, რომ სიტბო მისი სიკეთისა გასწვდეს ყველა ჩვენთაგანს და მით მოვალეთ ჰყოს თითოეული ჩვენგანი ისეთის სიყვარულით მოეპყრას თავის სამშობლო მხარეს, როგორ სიყვარულს და ერთგულებასაც იჩენთ თქვენ ჩვენდამი.

დაასრულა სიტყვა თუ არა, სტუდენტობა ტაშის ცემით შეხვდა მას, მუსიკამ შეასრულა მრავალ-ჟამიერ და საზოგადოებამ აღტაცებული ტაშის ცემით დააჯილდოვა ქ-ნი ელ. ნ. ხუჩინოვისა, რომლითაც გამოხატეს თავისი პატივისცემა და მადლობა იმ ქალისადმი, რომელიც დაუღალავ შრომას ეწევა ამ საზოგადოების სასარგებლოდ. ექიმ ხუჩინოვმა სტუდენტობა მოიწვია ვახშამზე. ვახშამად დამჯდარი საზოგადოება თარით და ტაშის ცემით შეხვდა ქ-ნ ელ. ნ. ხუჩინოვისას და ბევრმა მათგანმა სიტყვით მიმართა. მრავალი სიტყვა წარმოითქვა ამ საზოგადოების შესახებ, მაგრამ ყველასაგან განსხვავდებოდა სიტყვა, რომლითაც მიმართა სტუდენტობას ია ეკალაძემ. მას დიდი ოვაცია გაუმართეს სტუდენტებმა. ქ-ნმა ელ. ხუჩინოვისამ მადლობა გადაუხადა მთელ საზოგადოებას.

დიდათ ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა მხოლოდ დილის 8 საათზე. როგორც გავიგეთ, მიუხედავათ დიდი ხარჯისა, წმინდა შემოსავალი ამ საღამოდან აღემატება 1500 მანეთს (ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული ვინაიდან შემოწირულებები დღესაც მოსდის საზოგადოებას, რომელიც ამ დღეებში დაეგზავნება რუსეთში მყოფ ღარიბებს ქართველ სტუდენტებს.

Gaudeamus.

ვის მივმართოთ?

შეიძლება ქუთაისის ქალაქის გამგეობას მრავალი საქმის გამო იქნებ არც კი ახსოვდეს ყველასაგან მივიწყებული უბანი „გაბაშვილის გორად“ წოდებული, რომელიც ახლავს ქალაქს ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრით. ამ გორაზე ცხოვრობდნენ და კიდეც ცხოვრობენ გაბაშვილები და ამიტომ გორაზე მიმავალ ქუჩასაც დარქმევია მათი სახელი. გორაზე გამართული ბვურხანა და მცხოვრებთა უმრავლესობა მისდევს ამ დარგს.

ბევრ მათგანს ყავს ხარ-კამეჩი, ცხენები, აქვთ ურმები, ტაჩკები, შეძლებისა და გვარად უძრავ-მოძრავი ქონება და სხ..

აღნიშნული ქუჩა ფრიად შემოსავლიანია თვით ქალაქისათვისაც.

ამ უბნის მცხოვრებლებს ხდებათ ქალაქის გამგეობისა და პოლიციისაგან: ქარხნების, საშრომების, ურმების, ტაჩკების, უძრავ-მოძრავ ქონების და სხ. და სხ. გადასახადი.

მიუხედავათ ამისა, უბანი უყურადღებოთ არის დატოვებული, მივიწყებულია. განათებისა და ქუჩების სიკარგეზე ლაპარაკი, ხომ ზედმეტია.

ყველაფერი შეიძლება უწოდოთ მათ, გარდა სახელი „ქუჩისა“. ღამე ღმერთმა დაიფაროს ყოველი სულდგმული მათზე გავლისაგან, ხოლო დღეც, თუ გლახა ამინდია, ვაი მისი ბრალი, ვისაც ამ ქუჩებზე მოუხდება სიარული: ან ხელს მოიტეხს, ან ფეხს და ან კისერს; შეიძლება ტალახშიდაც დაიხრჩოს.. ამ უკანასკნელ დროს მაინც აღარ შეიძლება ამ უბნის ქუჩებზე გავლა არც ურმით და არც ეტლით: ბევრი მაგალითი მოხდა, რომ ტალახში ჩაფლული ეტლები კამეჩებით და ხარებით ამოაძვრეს ტალახიდან და ნავეებით გაათრიეს დალეწილ-დანგრეული. ხალხმა მოაბეზრა თავი და მგონი ნამეტანიც შეაწუხა ქალაქის გამგეობა, პოლიცია და საზოგადოთ ყველა, ვისაც ამ გზის საქმე ცოტაოდნათ მაინც ეხებოდა, მაგრამ ამ ომისა, თუ რაღაც მიზეზების გამო, ყურადღება არავინ მოაქცია ჯერჯერობით.

ამ რამდენიმე წლის წინეთ ამ უბნის მცხოვრებთ ბ...ბ. რ. დათეშიძის, პ. სალაძის, ზ. ვარდანაშვილის და სხ. შეგნებული პირთა ჩაგონებ-მეთაურობით შეძლებისდა გვარათ ხარჯი გაიწიეს და დაიარსეს იმ დროს პირველი მთელ ქუთაისის გუბერნიაში ახალი ტიპის უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი; დაარსების დროს ყოველი შეგნებული პირი და თითქმის ქალაქის წარმომადგენლებიც იმას უმტკიცებდნენ ხალხს, რომ სასწავლებლის დაარსების შემდეგ, უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ თქვენ უბნისა და ნატავი მას აქეთ სულ არ დავიწყებოდით ვინმე, თორემ მეტ ყურადღებას ვინღა დაეძებდა...

უსასოოდ დარჩენილი ხალხი ერთმანეთს შესჩივა; ხალხისავე რჩევით ამ რამოდენიმე დღის წინად ზოგიერთმა ჩვენმა წარმომადგენელმა მიმართა უკანასკნელ საშუალებას და სთხოვეს ბ. ქუთაისის პოლიციმეისტერს როგორმე დახმარება, რომელმაც თავის მხრით აღუთქვა ჩვენ წარმომადგენლებს ყოველ-გვარი მასზე დამოკიდებული განკარგულება—შემწეობა. ეხლა ხსენებული უბნის მცხოვრებნი ამ უკანასკნელ იმედის აღსრულებას უცდიან და მოელიან მანანასავით, თორემ მერე დაგვრჩენია უკანასკნელათ მივმართოთ ქალაქის გამგეობას და საზოგადოთ ყოველ შეგნებულ პირს და ვთხოვოთ გვირჩიონ მაინც როგორ მოვიქცეთ და ვის მივმართოთ?!.

თუ სხვას არაფერ სიკეთეს გვიზამს ვინმე, ამ უბნის მცხოვრებთაგან ქალაქის სასარგებლოდ შემოსავლის ნაწილი მაინც დაახარჯონ ამ უბნისავე ქუჩების გაკეთებას და განათების მოწესრიგებას, თორემ როგორც ბევრი ეტლ-ურემი, ეტლში მჯდომი და მეურმე დაიმტვრა, კიდევ უარესს და უფრო უარესს უნდა მოველოდეთ.

გ. ბ.—ძე.

თეატრი და ხელოვნება.

სამშაბათს, 2 თებერვალს, ქალ. თეატრში შედგა ბენეფისი მარო მდივნისა, წარმოადგინეს „იუდას მემკვიდრე“. მობენეფისე ასრულებდა პიესის უმთავრეს გმირი ქალის კლავიას როლს. წარმოდგენის საზოგადოება ბლომათ დაესწრო და ნიშნად თანაგრძნობისა ძლიერის ტაშის ცემით დააჯილდოვეს მობენეფისე. მიართვეს სანახსოვრო ნივთები და ლამაზლამაზი თაიგულები. ჩვენ წინადაც გვქონდა აღნიშნული, თუ რა პირობებში უხდებათ მოღვაწეობა ჩვენს ნიჭიერ მსახიობთ, და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენი საზოგადოების თანაგრძნობა და დაფასება ამა თუ იმ მსახიობისა არის სამაგიეროს მიძღვნა და პატივის ცემა, რომელიც ძალას და ენერგიას მატებს მსახიობს და ახალისებს, რომ ფართოთ იმოქმედოს, სასცენო ასპარეზზე. 16 წელიწადია, რაც მარო მდივანი სამშობლო სცენას ემსახურება. 16 წელიწადია, რაც იგი ხელს უწყობს ეროვნულ ხელოვნების გაფურჩქვნა-აყვავებას. მარო მდივანი ყოველთვის პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. იგი ეწევა მძიმე უღელს და გმირულათ გვერდს უდგია აუტანელ პირობებში მყოფ ჩვენს ნიჭიერ მსახიობთ. მარო მდივანი ცნობილია, როგორც ნიჭიერი მსახიობი ქალი, მას კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება. და ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მის ბენეფისით გამართულ წარმოდგენაზე დიდ-ძალი საზოგადოება ესწრება.

წარმოდგენამ საერთოდ სუსტად ჩაიარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მობენეფისის მოხდენილს თამაშს რომელმაც „კლავიას“ როლი უნაკლულოდ ჩაატარა.

მარო მდივანს წარმოდგენის დაწყებიდან, უკანასკნელ მოქმედების დასრულებამდე არ უღალატნია თავის თავისთვის. პიესის მსვლელობის თანდათანობას ანგარიშს უწევდა. პირველ მოქმედებაში, რომში ულამაზესი ქალი კლავია, ეს ვნებათა ღელვის ზღვაში შეჭრილი ვნების მონა, სავსებით დაგვისურათა მარო მდივანმა, და მით დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე მთლიანი შთაბეჭდილება. კარგი იყო მეორე-მესამე მოქმედებებში. უკანასკნელად, კი როდესაც ზურგი უჩვენა გარყვნილ ცხოვრების მდინარეობას და ახალი აზრებით გატაცებული, ახალი რწმენით ანთებული, სინათლისა და მზისკენ მიიწევს შეუდარებელის მოხდენილობით ჩაატარა. **ფაონის როლი** ეს როლი ამ პიესაში ყველა სხვა როლებთან შედარებით უფრო რთულია, და უფრო ძნელი. მე მინახავს ამ როლში ჩვენი ფრიად ნიჭიერი მსახიობი კიორკია—არადელი იმხნელი, რომელსაც თავის დიდი ნიჭის და ხელოვნური ალმაურინით დაუძლევია ყოველივე, და განსახიერებია, ტიპი, იუდას მემკვიდრისა, იუდა-გამცემლისა. მიუხედავათ ამისა, ალ. კორიშელი, ფაონის როლს კარგათ ასრულებდა. თუმც აქა-იქ სუსტობდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, ყაღიბეგიშვილის ხმის თვისება, რომელიც ფრიათ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს დამსწრე საზოგადოებაზე. აღსანიშნავია ვანო ბარველის ზედმიწევნით დახასიათება ამა თუ იმ ტიპისა, ეს ნიჭიერი მსახიობი ძლიერად განიცდის ხოლმე ამა თუ იმ პიესის გმირის სულის-კვეთებას. როგორც ყოველთვის, ბარველმა ამ საღამოსაც მთლიანი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე. კარგი იყო გვარაძე.

დანარჩენები პიესის მსვლელობას ხელს უწყობდნენ.

ლ—ო.

იძულებითი პასუხი.*)

ბატ. ვლად. ეგუხვარს.

ბატ. ვლადიმერ! რადგან თქვენ პასუხის გაუცემლობას დიდ ცოდვათ მითვლით, ამისთვის იძულებული ვარ ჩემი სიტყვა უკან წავიღო და შემდეგი გიპასუხოთ: თქვენ რომ ხსენებულ წიგნს არ [illegible] გაგრძენი და ეს ჩემი [illegible] თქვენთან მაგრამ თქვენ [illegible] მეორეთ პატივის[illegible] შემცდარა, [illegible] ვებდით, რადგან შეგატყვეთ, დიდი რუსული ბრძანებებით ამ წიგნ შეგატყვეთ მით, რომ, პირველად ხერხს მიმართეთ, რათა ეს წიგნ ლებლათ გამეტანებინა თქვენთვის. გნებავთ დაგიმტკიცებთ.

იმასაც დაგიმტკიცებთ, რომ თქვენ ძლიერ, თუ შემპირდით შემოგატან წიგნის წილების ორი წლისა და დურებს შემდეგ.

ქუთ. ბიბლიოთ. გამგე პ. ლორ

---

*) რედაქცია სპობს ამ, მკითხველებისათვის გაუგებარ საგნის შესახებ ყოველგვარ კამათს. **რედ.**

რედაქტორ-გამომც. ი.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	5 ს.
„	საღამ.	6 ს.
ბათომიდან	დღისით	1 ს.
„	ღამის	2 ს.
ფოთიდან	დილის	10 ს.
ტყიბულიდან	საღამოს	7 ს.
შორაპნიდან	დილის	9 ს.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	დილის	11 ს.
„	ღამის	1 ს.
ბათომისაკენ	დღისით	5 ს. 3
„	დილის	4 ს.
ფოთისკენ	დღისით	4 ს.
ტყიბულისკენ	დილის	6 ს. 2
შორაპნისაკენ	დღით.	5 ს. —

ქუთაისის განყოფილება
ამხ.-ბა „პროვოდნიკი“.

გვაქვს საწყობში გასასყიდათ დამზადებული დიდძალი

კალოშები საზაფხულო და საზამ ყველა არტიკულის სრ ლის ამორჩევით.

საეტლო შინები საერთაშორისო მარკის „სლონ“ და „[illegible]“

და აგრეთვე სხვადასხვა საქონელი საკუთარი ნაწარმოებისა. 3—

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდ
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასე
ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდა

საღი კუჭი
ჟელაგარი ექ. ვეხისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაბზობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ყაბზობა წყაროა მთელი წყება კუჭ ნაწლევების მოშლისა, პირის ღებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა; ჰემოროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას.

ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეხისა გვიჩვენებს ჩვენ ახალსა და უტყუარ რადიკალურ გზას ყაბზობისა და მის მწვავე შედეგებისაგან გასაკურნავათ.

ჟელაგარი ექ. ვეხისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მათ ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჰვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგან.

ჟელაგარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისათვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფებისაგანაც კი.

პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებით **ბროშურა** კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება **უფასოთ.**

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეხისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ ქ. ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** საფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კ.